ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ირაკლი ხელაძის

2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე

გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის N26-113 დადგენილების დანართი N2-ით დამტკიცებული წესის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

2021 წლის დეკემბრიდან ვარ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს VII მოწვევის წევრი, ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე , ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი და ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი.

ინფორმაცია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში და კომისიების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ.

2022 წლის ნოემბრიდან დღემდე მონაწილეობა მივიღე ქ.თბილისის საკრებულოს 15 სხდომაში, რომლის დროსაც მიღებული იქნა 115 დადგენილება და 537 განკარგულება. მონაწილეობა მივიღე ასევე საკრებულოს ბიუროს 20 სხდომაში. აღნიშნულ სხდომებზე განხილული და მიღებული გადაწყვეტილებები მოიცავდა ისეთ საკითხებს, რომლებიც განხილული იქნა ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე, ასევე სხვა კომისიების სხდომებზეც.
მონაწილეობა მივიღე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის 6 სხდომაში, სადაც განვიხილეთ 13 საკითხი.
მონაწილეობა მივიღე ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს 18 სხდომაში, განვიხილეთ 26 საკითხი.

2022 წლის 4 ნოემბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე ჩატარდა ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის 26 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა კომისიის კომპეტენციაში შემავალი სხვადასხვა საკითხები (საერთო ჯამში 334 საკითი):

ბიუჯეტი

განვიხილეთ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის წლიური და 2023 წლის 3 და 6 თვის ბიუჯეტის შესრულება.

დადგენილების პროექტები:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - 1 პროექტი.

ქალაქ თბიულისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ“

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. 6 პროექტი (მიღებული იქნა 6 დადგენილება).

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის ბიუჯეტი დავიწყეთ 1 632 132,6 ათასი ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 326 714,4 ათასი ლარით მეტია. წლის განმავლობაში 2023 წლის ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 200 951,0 ათასი ლარით და ბოლო ცვლილებების გათვალისწინებით , ბიუჯეტის მოცულობამ შეადგინა 1 833 083,6 ათას ლარი.

ბიუჯეტში ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პრიორიტეტებზე:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა.
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება.
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება.
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა.
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება.
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- განათლება
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა.
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.

❖ ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.

შევისწავლეთ და თანხმობა მივეცით:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის მეტროს მოდერნიზაციის“ პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების გაფორმებას.

საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის მეტროს მოდერნიზაციის” პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 50,600,000 ევროს ოდენობის სესხის და 5,000,000 ევროს ოდენობის გრანტის შეთანხმებაზე ხელის მოწერა. პროექტი მიზნად ისახავს EBRD-ის მხარდაჭერით თბილისის მეტრო სადგურების რეაბილიტაციას. რეაბილიტაცია ჩაუტარდება 12 მეტროსადგურს, ამასთან რამდენიმე მეტროსადგურის შესასვლელში მარტივი გადაადგილებიოსათვის დამონტაჟდება დახრილი ლიფტები, რომლითაც სარგებლობას შეძლებენ შშმ პირები, ორსულები და მოხუცები.

5 მლნ ევრო გამოყოფილია გრანტის სახით EBRD -ის მწვანე კლიმატური ფონდის მიერ.

პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების შესაბამისად მუნიციპალიტეტი, სასესხო და საგრანტო შეთანხმებებით გათვალისწინებულ თანხებს მიიღებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შემდგომში გასაფორმებელი ქვესასესხო და გრანტის გადაცემის ხელშეკრულებების საფუძველზე.

- ევროპის საბჭოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის საგრანტო შეთანხმების გაფორმება .

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ევროპის საბჭოს მიერ არაუმეტეს 19550 ქართული ლარის ოდენობით თანხის გამოყოფა, რომელიც ემსახურება პროგრამის „ინფორმაციის, საჯარო სერვისებსა და პროგრამებზე ეთნიკური უმცირესობების ხელმისაწვდომობის გაზრდა თბილისის მუნიციპალურ სამსახურებში“ განხორციელებისთვის საჭირო ხარჯების დაფარვას.

პროექტის მიზანია მუნიციპალური სერვისების შესახებ ინფორმაციის რაც შეიძლება ფართოდ გავრცელება ეთნიკურ უმცირესობებს შორის, რათა უფრო მეტი ადამიანი ფლობდეს ინფორმაციას მუნიციპალური სერვისების სრული პაკეტის შესახებ.

ავტობუსების პარკის განახლება

- ავტობუსები

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და „თეგეტა მოტორსს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, 160 ერთეული 18-მეტრიანი MAN-ის მარკის ავტობუსების შესყიდვა განხორციელდა. პირველ ეტაპზე, 2024 წლის პირველ აპრილამდე შემოვა 50 ავტობუსი, ხოლო დარჩენილი რაოდენობა - 2024 წლის ბოლომდე. ახალი ავტობუსები გათვლილია 162 მგზავრზე, აქედან 43 დასაჯდომი ადგილი იქნება.ავტობუსები სრულად ადაპტირებულია შშმ პირებისთვის: სალონში გამოყოფილია სპეციალური სივრცე ეტლის უსაფრთხოდ დასაყენებლად, ასევე,

ავტობუსს აქვს გადმოსაშლელი პანდუსი; დამონტაჟებულია თანამედროვე სტანდარტის, ინტეგრირებული გათბობის, კონდიცირებისა და ვენტილაციის სისტემა, რომელიც გათვლილია თბილისის კლიმატურ პირობებზე; ავტობუსები აღჭურვილია ხმოვანი საინფორმაციო სისტემით, შიდა და გარე ანტივანდალური ვიდეომონიტორინგის სისტემით, მობილურის დასატენი წერტილებით და მონიტორინგის, მართვისა და უსაფრთხოების სხვა თანამედროვე სისტემებით. ავტობუსებში მოქმედებს საინფორმაციო სისტემა, რომელიც მოიცავს მგზავრების საფასურის გადახდისა და საინფორმაციო სისტემების მართვის კომპიუტერს, საინფორმაციო დაფებს, აუდიო საინფორმაციო და ვიდეომონიტორინგის სისტემას, ასევე WIFI მოწყობილობას.

ამ ეტაპისათვის, თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მუნიციპალური ავტობუსების პარკი 860 ერთეული ავტობუსისგან შედგება:

MAN-ის მარკის 12 მეტრიანი ავტობუსი - 144 ერთეული;

ISUZU -ს მარკის 8 მეტრიანი ავტობუსი - 400 ერთეული;

BMC - ის მარკის 12 მეტრიანი ავტობუსი - 226 ერთეული;

MAN-ის მარკის 10 მეტრიანი ავტობუსი - 90 ერთეული;

- ახალი ავტობაზის მშენებლობა

იწყება ახალი ავტობაზის მშენებლობა. ავტობაზა გაშენდება 9 ჰექტარზე და გათვილი იქნება 200 ერთეულ 18 მეტრიან ავტობუსებზე. ამჟამად მიმდინარეობს კონცეპტუალური გეგმისთვის საჭირო დაზუსტებითი სამუშაოები შესაბამისი პროექტის შექმნის მიზნით.

პროექტის ბიუჯეტი 60 მლნ ლარს შეადგენს.

მძღოლების გადამზადების პროგრამა

სახელმწიფო ბიუჯეტისა და ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით 2023 წლის ივნისში განხორციელდა 160 ერთეული 18-მეტრიანი CNG (ბუნებრივ აირზე) მომუშავე ავტობუსების შესყიდვა, რომელთა შემოყვანა და ახალ მარშრუტებზე გაშვება დაგეგმილია 2024 წლის განმავლობაში ეტაპობრივად. აქედან გამომდინარე, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ დაიწყო მოცემული ტიპის ავტობუსების მართვისათვის საჭირო კატეგორიის (E კატეგორია) მისაღებად კომპანიაში ამჟამად მომუშავე მძღოლების გადამზადების პროგრამა და აღნიშნული კატეგორიის მიღების შემდეგ მოხდება მათი გადაყვანა 18-მეტრიან ავტობუსებზე.

თბილისის მეტრო

- დასრულდა მეტროსადგურ „გოცირიძის“ სრული რეაბილიტაცია-განახლება. სადგურის რეაბილიტაციის ფარგლებში, განახლდა ინტერიერი და ექსტერიერი, სრულად გადაიხურა მგზავრთა ჩასასხდომი ბაქანი და ჩატარდა მისი გამაგრების სამუშაოები. ასევე, სადგური ადაპტირდა შშმ პირებისთვის: დამონტაჟდა ორი ლიფტი და მოეწყო სპეციალური ტაქტილური ბილიკები. რეაბილიტაცია ჩაუტარდა, როგორც სადგურის ვესტიბიულს, ასევე ბაქანს. გარემონტდა

თანამშრომლებისთვის განკუთვნილი ოთახები და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, შეიცვალა გახმოვანების სისტემა. სრულად გამოიცვალა სადგურის ელექტროსისტემები. რეაბილიტირდა მგზავრთა მისაღები ბაქანიც.

- დაიწყო მეტროსადგურ „ვარკეთილის“ რეკონსტრუქციის სამუშაოები, რომლის შესრულების ჯამური ვადა შეადგენს 18 თვეს. ამ ეტაპისათვის სრულდება მეტროსადგურში სადემონტაჟო სამუშაოები.
- ახალი ტურნიკეტები

მგზავრთა ეფექტური მომსახურების მიზნით თბილისის მეტროს 5 მეტროსადგურში სწრაფი გამავლობის ტურნიკეტების დამონტაჟება დაიგეგმა. ამ ეტაპზე, ახალი ტურნიკეტები დამონტაჟდა მს „ისანში“, სულ 7 ერთეული. უახლოეს პერიოდში სწრაფი გამტარობის ტურნიკეტები განთავსდება მს „დიდუბეში“, სულ 9 ერთეული, მს „სადგურის მოედანი 2“ – 5 ერთეული, მს „ვარკეთილში“ - 10 ერთეული, ხოლო მს „ახმეტელის თეატრში“ – 11 ერთეული. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს მეტი მგზავრის შეუფერხებელ გადაადგილებას.

მიმდინარეობს რუსთაველის გამზირისა და მთაწმინდის პარკის დამაკავშირებელი საბაგირო გზის მშენებლობა-რეაბილიტაცი, რომლის დასრულებაც დაგეგმილია 2024 წლის გაზაფხულისთვის.

მნიშვნელოვანი პროექტები :

მარშალ გელოვანის და მუხრან მაჭავარიანის ქუჩების დამაკავშირებელი ახალი გზის რეაბილიტაცია.

ჟვანიას მოედნისა და მელიქიშვილის გამზირის რეაბილიტაცია

პუშკინის სკვერის რეაბილიტაცია

აკაკი წერეთლის გამზირის და შოთა შალიკაშვილის სახელობის (ე.წ „დიდუბის“) ხიდის რეაბილიტაცია.

მიმდინარეობს ეროვნული სასახლის, აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის და კადეტთა კორპუსის რეაბილიტაცია.

- ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელის სახლების ჩანაცვლება ხორციელდება, რომლის ფარგლებშიც უკვე რამდენიემ პროექტი მიმდინარეობს. კერძო ინვესტორების მიერ პროექტის სამგორის რაიონში, ვარკეთილის დასახლება, მასივი 3, კვარტალი 7, კორპუსი 12, მდებარე 1295 კვ.მ მიწის ნაკვეთზე

ახალი 10 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო (მათ შორის, სარემონტო) სამუშაოები.

საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს 8 ობიექტზე. საპროექტო სამუშაოების დასრულების შემდეგ დაიწყება აღნიშნული ობიექტების სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის პროცესი.ავარიული სახლის ადგილას ახალი შენობა-ნაგებობის აშენების, ექსპლუატაციაში მიღების და შესაბამისი ფართის გადაცემამდე, გაიცემა ბინის ქირის კომპენსაცია.

- **მსხვილი არეალების რეაბილიტაციის პროგრამა**

მსხვილი არეალების რეაბილიტაციის მიმართულებით, პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში გრძელდება ლადო გუდიაშვილის მოედანზე არსებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები; საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს შემდეგ მისამართებზე: გუდიაშვილი, კუპტინის N7, დადიანის N16; გუდიაშვილი, აბო თბილელის N8, N10, N12 და პურის მოედანი N6; მთაწმინდის შესახვევი N4; ჩიქობავას N5; გრიბოედოვის N5; შოთა ნიშნიანიძის N2-4, ნიკოლოზ ბარათაშვილის N7, 9/16, 17/26; ჩაიკოვსკი და მესხი და სხვა ობიექტებზე. დაიწყო სულხან-საბა ინგოროყვას არეალში არსებული საცხოვრებელი სახლების საპროექტო სამუშაოები;

ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების რეაბილიტაციის ფარგლებში, გრძელდება სარეაბილიტაციო სამუშაოები: წინამძღვრიშვილის N1-ზე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის, ორბელიანის N19-23, ფურცელაძის N30-32-34-ზე, თაბუკაშვილის N46, ერეკლე მეორის N6-7 და სხვა ობიექტებზე;მუზეუმების რეაბილიტაციის ფარგლებში გრძელდება აბრეშუმის მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

- ახალი სკვერების მოწყობა სპორტული მოედნების მოწყობა მ.შ:

ქ. თბილისში, ვარკეთილის II მ/რ-ში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩისა და რ.ხომლელის ქუჩის მიმდებარედ არსებული პარკის რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა.

გამწვანებული ტერიტორიების აღდგენა-მოწყობის სამუშაოების ფარგლებში მიმდინარეობს ტექსელის სახელობის პარკის, მაიაკოვსკი სახელობის პარკის, ციციშვილის პარკის, ლილოს დასახლებაში არსებული სკვერის, ლიბანის ქუჩა #5

არსებული სკვერის, ნონეშვილის და გობრონიძის ქუჩების კვეთაზე არსებული სკვერის, ვარკეთილის მასივი საცხენის N20-ის მიმდებარედ არსებული სკვერის, ვაზისუბნის დასახლებაში არსებული პარკის, მზიურის პარკის დაბრუნებული ტერიტორიის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები. დასრულდა ვარკეთილში, რ.ხომლელისა და გ.აბაშვილის ქუჩების კვეთა ე.წ. „დამპალოს'' სკვერის რეაბილიტაცია, ხოლო მიმდინარეობს თბილისში ზღვის უბნის პარკის მოწყობის სამუშაოები.

- ძვლის ტვინის და ღვიძლის ტრანსპლანტაცია
- გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების და კვლებეის დაფინანსება

გაფანტული სკლეროზის სამკურნალო ძვირადღირებული მედიკამენტები და მაღალტექნოლოგიური კვლევები თბილისის მაცხოვრებლებს სრულად, 100%-ით დაუფინანსდებათ. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, წესით გათვალისწინებული მედიკამენტი უფინანსდებოდათ სრულად, თანაგადახდის გარეშე, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლეს მედიკამენტი უფინანსდებოდათ წესით დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით. მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 80%-ის მოცულობით (20%-იანი თანაგადახდით). მიმდინარე წლიდან აღარ ხდება დიფერენცირება სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირებსა და სტატუსის არმქონე პირებს შორის. ყველა ბენეფიციარს, რომელიც აკმაყოფილებს წესით განსაზღვრულ კრიტერიუმებს მედიკამენტი დაუფინანასდებათ სრულად, წესით გათვალისწინებული ტარიფის ფარგლებში.

- სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსება

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს ენდოპროთეზირების საჭიროების მქონე პირებისათვის მენჯ-ბარძაყის ან/და მუხლის სახსრის ენდოპროთეზირებას (დაზიანებული ან შეცვლილი სახსრის ჩანაცვლება ხელოვნური ინპლანტით). მომსახურების დაფინანსება განხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის თანხმობის წერილის მეშვეობით, არაუმეტეს 6000 ლარის ოდენობით. ახალი პროგრამით სარგებლობა შესაძლებელი იქნება საქართველოს იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც ამ პროგრამაში ჩართვის მიზნით, თბილისის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე, ბოლო 2 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად პროგრამაში ჩართვის მომენტისათვის თბილისის მუნიციპალიტეტში არიან რეგისტრირებული და რომლებსაც წესით გათვალისწინებული ენდოპროთეზირება ესაჭიროება.

- ღვიძლის ტრანსპლანტაცია

“ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“ შევიდა ცვლილება და ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე, თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისათვის ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსება სრულად მოხდება. პაციენტს თანაგადახდა აღარ მოუწევს. შესაბამისად, თბილისის მერია 70 000 ლარის ნაცვლად ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაციას 120 000 ლარის ფარგლებში სრულად დააფინანსებს.

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მოქნე ბავშვთა აბილიტაცია

ცვლილება შევიდა „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“ ცვლილების თანახმად, ბენეფიციართა ვაუჩერის ღირებულება 400 ლარიდან 450 ლარამდე გაიზარდა. შესაბამისად, მოსარგებლეები ყოველთვიურად 400 ლარის ნაცვლად, 450 ლარით დაფინანსდებიან, ასევე პროგრამით მოსარგებლე ბავშვთა რაოდენობა 300-ით გაიზარდა. შესაბამისად, მიმდინარე წელს ბენეფიციართა რიცხვი 1850-ს შეადგენს. გაიზარდა სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების რიცხვი. აღნიშნულ პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს ცხრა ცენტრი ემსახურება.

სხვადასხვა სოციალური პროგრამები.

გრძელდება დიდ დიღომში, სკოლა „ფესვების“ მიმდებარედ მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის, ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის, ლადო ასათიანის ქუჩა N50-ში მდებარე სპორტული დარბაზის ა(ა)იპ "ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის" მუხიანის რაგბის კომპლექსის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

გარდა ამისა კომისიის მიერ შესწავლილია მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი 46 წერილი -„ქალაქ თბილისის მინიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ასიგნებების კვარტალური ცვლილებების შესახებ“, რომელიც მხოლოდ ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის პრეროგატივაა.

ქონება

2022 წლის ნოემბრიდან დღემდე კომისიის მიერ შესწავლილია სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან შემოსული 324 პროექტი.

საცხოვრებელი ფართების დაკანონება.

ქალაქის მერისა და თბილისის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ვაგრძელებთ საცხოვრებელი ფართების დაკანონებას იმ მოსახლეობისთვის, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობენ დაკავებულ ფართებში და ამ პერიოდში არ ქონდათ შესაძლებლობა შეეცვალათ საცხოვრებელი პირობები.

განვიხილეთ ქალაქ თბილისში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების 142 განკარგულების პროექტები.

დაახლოებით 259-მდე ოჯახს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ უძრავი ქონებით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაეცათ შესაბამისი ქონება (საცხოვრებელი ფართი, საერთო ჯამში დაახლოებით 14003,19 კვმ).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა, რაც კომისიის მიერ იქნა შესწავლილი არის შემდეგი: **კოოპერატიული და დაუსრულებელი ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დასახმარებლად მიღებული გადაწყვეტილებები.**

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

მ.შ პროექტები :

- „ქალაქ თბილისში, აბაშვილის ქუჩა N3, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე N01.19.19.005.225 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5397 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ჯიერ ქონსთრაქშენისთვის“ (ს/ნ: 405581375) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“
  (დაკმაყოფილდა 45 ოჯახი)
- ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში N01.19.39.006.207 და N01.19.39.006.208 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებული ჯამურად - 11 228 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთების, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ბრ დეველოპმენტისთვის“ (ს/ნ: 405596573), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“.

(დაკმაყოფილდა 117 ოჯახი)

- „ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის შესახვევი №13-ის მიმდებარედ, №01.10.06.001.292 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთისა და №01.10.06.001.293 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებული 688 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (წინა საკადასტრო კოდი: №01.10.06.001.261) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის უფლებამონაცვლე, შპს „აბგრეიდ ქონსთრაქშენისთვის“ (ს/ნ. 405542024), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ.

(დაკმაყოფილდა 20 ოჯახი)

- ქალაქ თბილისში, გლდანის III მიკრო რაიონის მიმდებარედ N01.11.12.006.301 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16 056 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „არტე დეველოპმენტისთვის“ (ს/ნ: 404606690), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“

(დაკმაყოფილდა 115 ოჯახი)

ქალაქ თბილისში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით სარგებლობის უფლებით, იჯარით გადაცემის პროექტები. (ჯამში 44 პროექტი)

კომისიამ განიხილა და მხარი დაუჭირა განკარგულების პროექტებს:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და კომპანიებს შორის გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

- თვითმმართველის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე ხელშეკრულებაში ცვლილებების/პირგასამტეხლოსაგან განთავისუფლების შესახებ.
- იმ ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მონაცვლეობას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში (მიწის ნაკვეთები), რომელთაც ახალი გენერალური გეგმის შესაბამისად შეეცვლათ ზონალური სტატუსი და შეეზღუდათ მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარება.
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მაჟორიტარი წევრის წარმომადგენლობის მიერ გაწეული საქმიანობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენლობის ოფისის მისამართია - ცოტნე დადიანის N193.

წარმომადგენლობამ ორგანიზება გაუწია მოქალაქეებთან ყოველკვირეულ შეხვედრებს, სადაც პირადად ვეცნობოდით მათ საჭიროებებს. აღნიშნული მიღების ფარგლებში, პირადად შევხვდი ნაძალადევის რაიონში მცხოვრებ 700-მდე მოქალაქეს. საანგარიშო პერიოდში წარმომადგენლობამ 600-ზე მეტი სხვადასხვა თემატიკის პრობლემა განიხილა. ინფრასტრუქტურული, სატრანსპორტო, იურიდიული და სოციალური საკითხების მოგვარების მიზნით აქტიურად ვთანამშრომლობთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის საქალაქო სამსახურებთან და ნაძალადევის რაიონის გამგეობასთან.

ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

წარმომადგენლობა, თავისი კომპეტენციისა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს იმ მოქალაქეთა მხარდაჭერას, რომლებიც სამედიცინო საჭიროებების მოგვარების მიზნით მოგვმართავენ, რისთვისაც კოორდინირებულად მუშაობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნაძალადევის რაიონის

გამგეობასთან და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან, ასევე, სხვადასხვა კერძო ორგანიზაციებსა თუ ამ სფეროს სპეციალისტებთან.

საანგარიშო პერიოდში წარმომადგენლობამ დააყენა 300-ზე მეტი შუამდგომლობა სამედიცინო გამოკვლევასთან, მედიკამენტოზურ და ოპერაციულ მკურნალობასთან დაკავშირებით, ასევე, 200-ზე მეტი შუამდგომლობა მიზნობრივ ფულად დახმარებასთან დაკავშირებით, რომელთა უმრავლესობა დაკმაყოფილებულია. სოციალური სტატუსის მინიჭების, აღდგენის ან სოციალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სერვისების მიღების თხოვნით, წარმომადგენლობაში მოსულ ათობით მოქალაქეს გაეწია კონსულტაცია. აღნიშნული საკითხების მოგვარების მიზნით აქტიურად ვთანამშრომლობთ გლდანი-ნაძალადევის რაიონის სოციალური მომსახურების სააგენტოსთან.

როგორც მაჟორიტარი დეპუტატი აქტიურად ვთანამშრომლობ შესაბამის რაიონულ გამგეობასთან.

2023 წლის იანვრიდან დღემდე ნაძალადევის რაიონის გამგეობის პროექტებისა და პროგრამების განსახორციელებლად 21 მილიონამდე ლარი გაიხარჯა.

მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა 40 210 კვ.მ ფართობზე. შესრულდა კაპიტალური და ფრაგმენტული საგზაო სამუშაოები 101 მისამართზე.

ქუჩების სანიაღვრე და წყალარინების ქსელი მოეწყო 10 მისამართზე. გრუნტის დამჭერი კედლის მშენებლობა-რეაბილიტაცია განხორციელდა 12 მისამართზე.

2 მისამართზე მოეწყო დენდროლოგია. მოეწყო საბავშვო-გასართობი ატრაქციონები 18 მისამართზე. სკვერებში დაზიანებული ინფრასტრუქტურის შეკეთება-რეაბილიტაცია 25 მისამართზე განხორციელდა.
7 ლოკაციაზე სპორტული მოედანი სრულად რეაბილიტირდა. ამას გარდა, 5 მისამართზე ფრაგმენტულად შეკეთდა მოედნები.
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე წელს ჯამში, 169 პროექტი განხორციელდა. აქედან 31 საცხოვრებელ კორპუსში შეკეთდა სახურავი, განხორციელდა 59 ლიფტის მოწყობა-რეაბილიტაცია, შეიცვალა 31 კორპუსის მიწისქვეშა კომუნიკაციები.
ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების ფარგლებში 1693 მოქალაქეს დაუფინანსდა მიზნობრივი ფულადი დახმარება, 2060 ბენეფიციარს - ოპერაცია/გამოკვლევა, 2649

ბენეფიციარს - მედიკამენტები, ქირის კომპენსაციით სარგებლობს 348 ოჯახი, სამშენებლო მასალები დაუფინანსდა 204 ოჯახს.

პატივისცემით,

ირაკლი ხელაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი